მოდული 13: მოზარდთა კონტრაცეფცია

მიზანი: ამ მოდულის ბოლოს მსმენელებს შეეძლებათ:

1. მოზარდთა კონტრაცეფციის, როგორც კონსულტირების დელიკატური სფეროს განსაზღვრა.
2. მოზარდებისათვის შესაფერისი კონტრაცეფციის მეთოდების დასახელება;
3. მათთვის ყველაზე უფრო მისაღები მეთოდის განსაზღვრა;
4. მოზარდების მიერ თითოეული მეთოდის გამოყენების უპირატესობანისა და ნაკლოვანებების დასახელება;

წინასწარ განსაზღვრული დრო: 45 წთ

სწავლების მეთოდები:
- დიდი ჯგუფური დისკუსია
- პატარა ჯგუფური დისკუსია

საჭირო მასალები:
<u>ფლიპპლაკატები:</u>
- სესიის მიზნები

<u>სახელმძღვანელო მსმენელთათვის:</u>
- მოზარდთა კონტრაცეფცია

I . მოზარდთა კონსულტირება (5 წთ)

მსმენელებთან ერთად მიმოიხილეთ სესიის მიზნები.

დაიწყეთ სესიის ჩატარება იმის განმარტებით, რომ ყურადღებას გაამახვილებთ მოზარდთა კონსულტირების საჭიროებაზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ძალიან დელიკატური სფერო.

ჰკითხეთ მსმენელებს:

- სად შეიძლება მიიღოს მოზარდმა ინფორმაცია კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ?

ჩამოწერეთ პასუხები ფლიპდაფაზე.

ოჯახში და სკოლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სქესობრივ აღზრდას, ამიტომ, მოზარდები ინფორმაციას ღებულობენ მეგობრებისაგან, რომელიც ხშირად დამახინჯებულია. მოზრადებს ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვთ კავშირი სქესობრივ ურთიერთობასა და ორსულობას შორის.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 20 წელზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფში ორსულობათა 84% დაუგეგმავია. მაგალითად აშშ-ში ხელოვნური აბორტების მესამედი მოდის 20 წლამდე გოგონებზე.

- რა საკითხებზე უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება მოზარდების კონსულტირებისას?

საკმარისი ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული მორალის ასპექტებზე, სექსუალურ კულტურაზე და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე. კონსულტენტმა მოზარდთან ერთად უნდა განიხილოს ის შესაძლო სამედიცინო პრობლემები, რომელიც ადრე დაწყებულ სქესობრივ ცხოვრებას უკავშირდება (საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოქმნის რისკი და სხვა: ასევე პირდაპირი კავშირი სექსუალური პარტნიორების რაოდენობასა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა შორის).

მოზარდები ხშირად იჯერებენ კონტრაცეფციის მეთოდებზე სხვადასხვა მითებს. კონსულტანტმა უნდა გააქარწყლოს ეს მითები, უნდა დაამშვიდოს მოზარდი და აუხსნას, რომ კონტრაცეფციის მეთოდები დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ისინი იცავენ ქალს ორსულობისაგან (მითუმეტეს არასასურველი).

გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ კონსულტაციაზე მოზარდები მოდიან უკვე გარკვეული გამოცდილებით. ექიმმა მოზარდს უნდა მისცეს აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია კონტრაცეფციის მეთოდებზე.

II- III. მოზარდებისათვის შესაფერისი კონტრაცეფციის მეთოდები (10 წთ)

ჯგუფთან ერთად განიხილეთ ის ასპექტები, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული კონტრაცეფტული მეთოდის შერჩევის დროს.

- მოზარდების სხვადასხვა ასაკი,
- სოციალური ფაქტორები,
- სექსუალური ცხოვრების გამოცდილება და მათი ხასიათის თავისებურებები

ყურადღება გაამახვილეთ მოზარდის ხასიათის თავისებურებებზე. თხოვეთ ჯგუფს, დაახასიათონ მოზარდთა სხვადასხვა ტიპები.

მოზარდი გამოირჩევა ხასიათის შემდეგი თავისებურებებით:

- ფიცხი
- ემოციური
- თავდაჯერებული
- ლიდერობის სურვილით შეპყრობილი
- გულმავიწყი
- მოუთმენელი
- ცნობისმოყვარე
- არ ითვალისწინებს შესაძო შედეგებს
- არათანმიმდევრული
- დამოუკიდებელი
- კომფორტის მოყვარული და ა.შ. (მსმენელებს შეუძლიათ ჩამოწერონ კიდევ სხვა ბევრი მახასიათებელი)

ჰკითხეთ ჯგუფს:

- კონტრაცეფციის რომელი მეთოდებია შესაფერისი მოზარდისათვის?
- როგორ ფიქრობთ, მოზარდი რომელ მეთოდს ანიჭებს უპირატესობას?
- კონტრაცეფციის მეთოდებზე საუბრისას საჭიროა აღინიშნოს თავშეკავების მეთოდი?

"სექსუალურ ურთიერთობაზე უარის თქმა" ყველაზე საუკეთესო დაცვაა არასასურველი ორსულობისაგან და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან.

კონტრაცეფციის მეთოდები მოზარდებისათვის შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- **უპირატესობა ენიჭება** (კონდომი, კოკ-ი)
- **შეიძლება გამოყენება** (დიაფრაგმა,ღრუბელი, სპერმიციდი)
- **ნაკლებად პოპულარულია** (ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდები, სუფთა პროგესტინები: მინი-პილი, დეპო-პროვერა, ნორპლანტი)
- **გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში** (სშს, პოსტკოიტალური კონტრაცეფცია)
- **არ გამოიყენება** (მილების ოკლუზია , ვაზექტომია)

IV. მოზარდების მიერ თითოეული მეთოდის გამოყენების უპირატესობანისა და ნაკლოვანებების დასახელება (30 წთ)

დაყავით მსმენელები 6 პატარა ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიეცით ქვემოთ მოცემულ თემათაგან ერთ-ერთი, რათა მოამზადონ და შემდეგ წარუდგინონ დიდ ჯგუფს:

- I ჯგუფი: მოზარდებისათვის კონდომების ეფექტურობა
  კონდომების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

- II ჯგუფი: რამდენადაა რეკომენდირებული კოკ-ის გამოყენება 16 წლამდე გოგონებში და უფროს ასაკში? კოკ-ის უპირატესობანი და ნაკლოვანებები.

- III ჯგუფი: დიაფრაგმა, სპერმიციდი, ღრუბელი; მათი ეფექტურობა უპირატესობანი და ნაკლოვანებები.

- IV ჯგუფი: ნაკლებად პოპულარული მეთოდები ---- სუფთა პროგესტინული კონტრაცეპტივები; (მინი-პილი, დეპო-პროვერა, ნორპლანტები) და ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდები.

- V ჯგუფი: უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი მეთოდები --- სშს და გადაუდებელი კონტრაცეფცია. მათი უკუჩვენებები უპირატესობანი და ნაკლოვანებები.

- VI ჯგუფი: მეთოდები, რომელთა გამოყენება მიუღებელია მოზარდებისათვის --- მილების ოკლუზია, ვაზექტომია

ჯგუფებს მიეცით დაახლოებით 10 წუთი იმისათვის, რომ მოემზადონ დავალების წარმოსადგენად.
თხოვეთ თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინოს თავისი თემა.
ხელი შეუწყვეთ დისკუსიის წარმართვას, რათა საჭიროების შემთხვევაში განმარტებულ იქნეს რიგი საკითხები.
მსმენელებს ყურადღება გაამახვილებინეთ მსმენელთა სახელმძღვანელოს *მოზარდთა კონტრაცეფციის* შესაბამის ნაწილზე და აღნიშნეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მიცემული თემის პრეზენტაციის დროს გამორჩათ.